

1.	ხელშეკრულების თარიღი	201- წლის --
2.	ხელშეკრულების ნომერი და ხელშეკრულების დასახელება	იურიდიული/საადვოკატო მომსახურების გაწევის (დავალების) შესახებ ხელშეკრულება --- -- /1
3.	ხელშეკრულების მხარეები	
3.1.	ადვოკატი	გურამ კონტუაძე პ/ნ ----- სიითი №6112 /
3.2.	მისამართი	ქ. რუსთავი - მიკრო რაიონი - კორპუსი -სართული - ბინა;
3.3.	ბანკი და ბანკის კოდი	სს -----
3.4.	ანგარიშის ნომერი	GE-----
3.5.	ტელეფონი და ელ.ფოსტა	guram.kontuadze@gmail.com +995 591 976 764;
3.6.	კლიენტი	----- ს/ნ -----
3.7.	მისამართი	საქართველო, ქ. -----
3.8.	ტელეფონი და ელ.ფოსტა	+995 5-- -- -- --
3.9.	ბანკი და ბანკის კოდი	
3.10.	ანგარიშის ნომერი	
4.	ხელშეკრულების საგანი	წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ადვოკატი იღებს ვალდებულებას გაცემული დავალების ფარგლებში კლიენტს გაუწიოს იურიდიული / საადვოკატო მომსახურება, მათ შორის წარმოადგინოს ნებისმიერი სახის კერძო თუ საჯარო სტრუქტურებში და სამივე ინსტანციის სასამართლოში და არბიტრაჟში, კერძოდ:
4.1.	შესასრულებელი დავალების აღწერა და თითოეული დავალების ღირებულება:	4.1.1 წარმომადგენლობა, სასამართლოში პირველ მეორე და მესამე ინსტანციაში, მათ შორის:
5.	თანხის გადახდის წესი და პირობები:	თანხას გადაიხდება შემდეგი სახით: -----
6.	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	---.---.20-- დან ---.---.20-- მდე
7.	მხარეთა დასახელება	წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, კლიენტი და ადვოკატი ერთად მოიხსენებიან როგორც მხარეები, ხოლო ადვოკატები მოიხსენიებიან როგორც ადვოკატი;
8.	ხელშეკრულების ენა	ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე.
9.	ხელშეკრულების გაგრძელება	წინამდებარე ხელშეკრულება გრძელდება ავტომატურად, იგივე პირობებით და იგივე ვადით, თუ მხარეთაგან არცერთი არ შეატყობინებს წერილობით მეორე მხარეს 2 (ორი) კვირით ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, მანამ სანამ განსახორციელებელი დავალების ფარგლებში მიღებული არ იქნება საბოლოო გადაწყვეტილება, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, იქნება ეს სასამართლო, არბიტრაჟი თუ ადმინისტრაციული ორგანო ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად მოშლილად.
ადვოკატი გურამ კონტუაძე პ/ნ -----		----- ს/ნ -----

20-- წლის -- ოქტომბერი იურიდიული / საადვოკატო მომსახურების გაწევის (დავალების) შესახებ ხელშეკრულების 20- ---/1 სტანდარტული პირობები

1. ზოგადი პირობები:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ადვოკატი იღებს ვალდებულებას გაცემული დავალების ფარგლებში კლიენტს გაუწიოს იურიდიული/საადვოკატო მომსახურება. მათ შორის წარმოადგინოს ნებისმიერი სახის კერძო თუ საჯარო სტრუქტურებში და სამივე ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებზე და არბიტრაჟში,

1.2. იურიდიული/საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას კლიენტისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა, კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სხვა რამ არ არის დადგენილი მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებით, დავის შემთხვევაში ხელშეკრულება განიმარტება საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (დავალების ხელშეკრულების ნორმებით) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით.

1.4. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის კოდექსს

1.5. ადვოკატი უფლებამოსილია საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას საქმის წარმოების გაგრძელებაზე, აღნიშნულ შემთხვევაში მან უარი მხოლოდ მაშინ უნდა განაცხადოს თუ კლიენტს გონივრული დრო ექნება სხვა ადვოკატის სანახავად. მომსახურების საფასურთან მიმართებაში, ადვოკატი უფლებამოსილია დაიტოვოს საფასურის მხოლოდ ის ნაწილი რომელიც მას გადაუხადა კლიენტმა საქმის კონკრეტულ ეტაპამდე მიყვანისათვის. თუ მხარეთა შორის არ არის განსაზღვრული კონკრეტული საქმის ეტაპი ივარაუდება, რომ კლიენტმა ადვოკატს მომსახურების საფასური გადაუხადა საქმის მხოლოდ პირველი ეტაპისათვის.

2. მომსახურების საფასურის ოდენობა მისი გაანგარიშების წესი და გადახდის პირობები:

2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა შორის ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

2.2. მომსახურების საფასურში შედის მხოლოდ საადვოკატო მომსახურების საფასური, საადვოკატო მომსახურების საფასურში არ შედის დამატებითი ხარჯები, კერძოდ დოკუმენტაციის გამოთხოვის საფასური, სასამართლო ბაჟი, მგზავრობის, კვების და ა.შ. თუ სხვა რამ არის განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულებით ივარაუდება, რომ მომსახურების საფასური არ მოიცავს დამატებით ხარჯებს.

2.3. იმ შემთხვევაში თუ კლიენტმა არ გადაიხადა მომსახურების საფასური მაგრამ ადვოკატი უკვე ახორციელებს საადვოკატო მომსახურებას, დადგენილი მომსახურების საფასური შესაძლოა გაიზარდოს ადვოკატის შეხედულებით მაგრამ არაუმეტეს 5% ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ადვოკატი უფლებამოსილია ხოლო კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ადვოკატს გაწეული მომსახურების საფასური. იმ შემთხვევაში თუ არ არის დადგენილი მომსახურების საფასური, გამოიყენება ჩვეულებრივი საზღაურის ცნება, ეს კი ნიშნავს, რომ ადვოკატი უფლებამოსილია მიმართოს სხვა ადვოკატს და სხვა ადვოკატის ცნობის საფუძველზე მოითხოვოს ჩვეულებრივი საზღაურის ოდენობის თანხა, ადვოკატმა შესაძლებელია ასევე გამოიყენოს საექსპერტო დასკვნა.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

3.1. ადვოკატის უფლება-მოვალეობანი:

3.1.1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისა თუ ზეწოლისგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხ.).

3.1.2. ადვოკატი უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განხორციელება.

3.1.3. ადვოკატი უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტისგან საქმესთან დაკავშირებული მასალების

<p>(დოკუმენტაციის) მისთვის დროული გადაცემა, ასევე ჰონორარის დროული გადახდა წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის ვალდებული დაიწყოს საქმის წარმოება, ამასთანავე ადვოკატი სრულად თავისუფლდება პასუხისმგებლობის ყოველგვარი ზომისაგან თუ კლიენტმა სრულად, არასწორად, განზრახ შეცდომაში შეყვანის მიზნით მიაწოდა ცნობა/ცნობები, დოკუმენტაცია და ა.შ.</p>
<p>3.1.4. ადვოკატი უფლებამოსილია მოშალოს ან შეაჩეროს ხელშეკრულება, თუ კლიენტი არაკეთილსინდისიერად ან არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მათ შორის, კლიენტის მიერ მომსახურების საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში.</p>
<p>3.1.5. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხ.).</p>
<p>3.1.6. ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად თუ სხვა ინტერესებზე მაღლა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხ.).</p>
<p>3.1.7. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8(5) მუხ.).</p>
<p>3.1.8. ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8 (3) მუხ.).</p>
<p>3.1.9. ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხ.).</p>
<p>3.1.10. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას მისთვის საქმესთან დაკავშირებით გაცნობილი დოკუმენტაციის კონფიდენციალურობა, არ გამოიყენოს აღნიშნული ინფორმაცია საკუთარი თუ მესამე პირების ინტერესებისათვის.</p>
<p>3.1.11. თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევისა თუ სხვა სახის სამართლებრივი დახმარების დაწყების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10(4) მუხ.).</p>
<p>3.1.12. ადვოკატი ვალდებულია დროულად და სწორად მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს საქმის მიმდინარეობის შესახებ.</p>
<p>3.1.13. ადვოკატი ვალდებულია, კანონის ფარგლებში, ყველა ღონე იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად.</p>
<p>3.2. კლიენტის უფლება-მოვალეობანი:</p>
<p>3.2.1. კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ადვოკატის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.</p>
<p>3.2.2. კლიენტი უფლებამოსილია ადვოკატისგან მოითხოვოს ანგარიში, გაწეული სამუშაოსა და საქმის მიმდინარეობის შესახებ.</p>
<p>3.2.3. კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ადვოკატის მომსახურებაზე, თუ იგი არაკეთილსინდისიერად ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.</p>
<p>3.2.4. კლიენტი ვალდებულია კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი და ბოროტად, არამიზნობრივად არ ისარგებლოს ადვოკატის პროფესიული მომსახურებითა თუ დროით.</p>
<p>3.2.5. კლიენტი ვალდებულია დროულად და სრულად გადაუხადოს ადვოკატს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების საფასური (ჰონორარი).</p>
<p>3.2.6. კლიენტი ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს, გააცნოს და გადასცეს ადვოკატს მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, დოკუმენტები და მასალები ასლების სახით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დედნების სახით.</p>
<p>3.2.7. კლიენტი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატის მოთხოვნისამებრ, საკუთარი სახსრებით, დროულად თარგმნოს და/ან ნოტარიულად დაამოწმებინოს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და მასალები.</p>
<p>3.2.8. კლიენტი ვალდებულია თავისი ყველა სამართლებრივი თუ სხვა მოთხოვნა შეუსაბამოს შიდა</p>

კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლის მოქმედ მატერიალურ თუ საპროცესო კანონმდებლობას და თავი შეიკავოს დამატებითი, არასამართლებრივი, პირადი თუ სხვა სახის მოთხოვნების ადვოკატისთვის წაყენებისგან. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მოთხოვნა წაყენებული იქნება ადვოკატის მიმართ, ადვოკატი უფლებამოსილია შეწყვიტოს წარმომადგენლობა.

3.2.9. კლიენტი ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, მესამე პირებთან ურთიერთობაში, იმოქმედოს მხოლოდ ადვოკატთან წინასწარი შეთანხმებით და მისი თანხმობით. კლიენტი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი განცხადებისა თუ ქმედებისაგან, რაც წინასწარ არ არის შეთანხმებული ადვოკატთან. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ასეთ მოთხოვნას დააღვევს, ადვოკატი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას კლიენტის წინაშე.

3.2.10. კლიენტი ვალდებულია, ადვოკატთან შეუთანხმებლად არ აიყვანოს სხვა ადვოკატი. სხვა ადვოკატისა თუ კონსულტანტის აყვანის შემთხვევაში, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადვოკატს.

3.3. ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერი სახი სიახლე ცნობა, მიაწოდოს კლიენტის როგორც ზეპირი ფორმით, ასევე წერილობითი და ელექტრონული ფორმით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა შორის გაფორმებული ვადით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულება გრძელდება ავტომატურად, იგივე პირობებით და იგივე ვადით, თუ მხარეთაგან არცერთი არ შეატყობინებს წერილობით მეორე მხარეს 2 კვირით ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დამატებითი პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ხელმომწერი პირები ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებამოსილება და არ საჭიროებენ რაიმე დამატებით თანხმობასა თუ ნებართვას.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.3. თითოეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში. ამასთან თითოეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში, მისი კომპეტენციისა და უფლებების ფარგლებში, მხარე რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა, ამასთან ერთად ამ მხარეს არ ერთმევა უფლება მიმართოს მეორე მხარეს და მოითხოვოს ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესება. ასეთი შეუტყობინებლობა მხარის მიერ ნიშნავს იმას, რომ ის თავის ვალდებულებას ასრულებს დათქმულ დროსა და ვადაში, თავისი სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი რისკის ფარგლებში;

5.4. წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი/მუხლები არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ მხარემ/მხარეებმა პირველადი მიზანი უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულება უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ვიდრე რაიმე ისეთი უფლების გამოყენება რომელიც შესაძლოა გახდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის მიზეზი;

5.5. უფლების არამართლობიერ გამოყენებად ჩაითვლება პირობა ან/და მოქმედება როცა მხარეს შეეძლო გამოეყენებინა რომელიმე მისთვის მინიჭებული უფლება ხელშეკრულების შენარჩუნების მიზნით და არ განახორციელა ძალიანმევა მისი შესრულებისათვის;

5.6. მხარეებს არ ერთმევათ უფლება ნებისმიერ დროს წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება, და გაითვალისწინონ ის პირობები (მათ შორის შეცვალონ) რომელზედაც თანხმდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით;

5.7. მხარეები ცნობენ და აღიარებენ დოკუმენტებს (მიმოწერას, აქტებს, შეტყობინებას, რომელიც მათ მიერ შეთანხმებულია ან/და გამოიყენება საქმიანი ურთიერთობისათვის) ელექტრონული ფორმით. აუცილებლობის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტების ორიგინალები.

6. კონფიდენციალობა

6.1. ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.2. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, მიუხედავად მათი წერილობითი ან ზეპირი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად და მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს.

7. დასკვნითი დებულებანი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შედის თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დამოწმებულია სანოტარო წესით (და/ან რეგისტრირებულია შესაბამის ორგანოში), ამგვარი ცვლილება და დამატება, ასევე მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას (და/ან რეგისტრაციას შესაბამის ორგანოში).

7.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს ვერ მოახდენს გავლენას მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკე პირობების ბათილობაზე, მათ იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.

7.3. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობითი ფორმით მისამართის, საბანკო რეკვიზიტების და სხვა ცვლილებების შესახებ რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს წინამდებარე პირობების შესრულებაზე. უწყება, გზავნილი, წერილი ან სხვა, ჩაბარებულად ჩაითვლება თუ ის გაგზავნილია მხარეთათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე.

7.4. ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად ქართულ და რუსულ ენაზე, რომელთაგან თითო-თითო ეგზემპლარი შესანახად გადაეცემათ მხარეებს

7.6. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ იხდის ან/და დაგვიანებით იხდის მომსახურების საფასურს, ადვოკატს უფლება აქვს მანამ არ შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება სანამ კლიენტი დადგენილი გრაფიკის შესაბამისად არ გადაიხდის მომსახურების საფასურს;

8. დავათა გადაწყვეტა

8.1. დავის არსებობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

<p>ადვოკატი გურამ კონტუაძე პ/ნ ----- _____</p>	<p>----- ს/ნ -----</p>
--	------------------------